საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №91/ნ
2022 წლის 2 აგვისტო

ქ. თბილისი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693, 12/04/2019) დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-3 მუხლით გათვალისწინებული:

1. „ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics“ (კოდი – 0232) ჩამონათვალში მე-2 სვეტში არსებული ჩანაწერი „ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატური ისტორია Georgian Literature/History of Georgian Literature“ (კოდი – 0232.2.4) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0232.2.4. ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია Georgian Literature/History of Georgian Literature“;

2. „სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies“ (კოდი – 0314) ჩამონათვალში მე-2 სვეტში არსებული ჩანაწერი „კონფლიქტოლოგია Conflictology“ (კოდი – 0314.2.2) ამოღებულ იქნეს;

3. „ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას Inter-disciplinary – involving social sciences, journalism and information“ (კოდი – 0388) ჩამონათვალში მე-2 სვეტს „საბჭოთა კვლევები Soviet Studies“-ის (კოდი – 0388.2.6) შემდეგ დაემატოს:

„0388.2.7. კონფლიქტოლოგია Conflictology“;

4. „მენეჯმენტი და ადმინისტრირება Management and Administration“ (კოდი – 0413) ჩამონათვალში მე-2 სვეტში არსებული ჩანაწერი:

ა) „ფარმაციის მენეჯმენტი Pharmacy Management“ (კოდი – 0413.2.8) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0413.2.7. ფარმაციის მენეჯმენტი Pharmacy Management“;

ბ) „პროექტების მენეჯმენტი Ptoject“ (კოდი – 0413.2.12) ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„0413.2.12. პროექტების მენეჯმენტი Ptoject Management“;

5. „ქიმიური ინჟინერია და პროცესები Chemical Engineering and Processes“ (კოდი – 0711) ჩამონათვალში პირველ სვეტში არსებული ჩანაწერი „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია Chemical and Biological Engineering“ (კოდი – 0711.2.1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0711.1.1. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია Chemical and Biological Engineering“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**